საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 435 2017 წლის 26 სექტემბერი ქ. თბილისი

„მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 ივნისის №247 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 ივნისის №247 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 04/06/2015, 120160010.10.003.018633) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის შესახებ დებულების“ 22-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სამხედრო აღრიცხვისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის საერთო პროცესის სრულყოფისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, ასევე ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის უზრუნველსაყოფად, იქმნება ერთიანი ელექტრონული ბაზა, რომლის

ადმინისტრირებას, მათ შორის, მონაცემთა შეკრებასა და დამუშავებას უზრუნველყოფს კოორდინირების დეპარტამენტი.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი